თანხის გადაცემის
ხელშეკრულება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

(როგორც თანხის გამცემს)

და

თვითმმართველ ქალაქ ბათუმს

(როგორც თანხის მიმღებს)

შორის

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა
რეაბილიტაცია - ფაზა III (წყლის მიწოდება და წყალარინება ბათუმსა და მის მიმდებარე
სოფლებში) პროექტთან დაკავშირებით

2012 წლის 15.02

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო), როგორც თანხის გამცემი, ერთის მხრივ და თვითმმართველი ქალაქი ბათუმი (შემდგომში პროექტის განმახორციელებელი სააგენტო) როგორც თანხის მიმღები, მეორეს მხრივ, შემდგომში წოდებულნი მხარეებად,

იმის გათვალისწინებით, რომ:

- 2011 წლის 18 აგვისტოს ხელი მოეწერა სასესხო ხელშეკრულებას (შემდგომში სასესხო ხელშეკრულება) გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (შემდგომში KfW) და საქართველოს (წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროთი) შორის 20,000,000.00 ევრომდე გამოყოფის შესახებ;
- 2011 წლის 18 აგვისტოს ხელი მოეწერა დაფინანსების ხელშეკრულებას (შემდგომში დაფინანსების ხელშეკრულება) KfW-ს და საქართველოს (წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროთი) შორის 9,000,000.00 ევრომდე გამოყოფის შესახებ;
- 2011 წლის 18 აგვისტოს ხელი მოეწერა კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულებას (შემდგომში კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულება) KfW-ს და საქართველოს (წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროთი) შორის 9,695,551.02 აშშ დოლარის ექვივალენტ ევროზე გამოყოფის შესახებ (რომელმაც ევროში დაკონვერტირების შემდეგ შეადგინა 6,728,535.85 ევრო);
- 2011 წლის 18 აგვისტოს ხელი მოეწერა დაფინანსების განხორციელების ხელშეკრულებას (შემდგომში დაფინანსების განხორციელების ხელშეკრულება) KfW-ს და საქართველოს (წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროთი) შორის, ევროპის კავშირის მიერ ამავე პროექტისათვის გამოყოფილი 4,000,000.00 ევროს შესახებ;
- 2011 წლის 21 ნოემბერს ხელი მოეწერა 2011 წლის 18 აგვისტოს გაფორმებულ სასესხო, დაფინანსების, კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის და დაფინანსების განხორციელების ხელშეკრულებების განსაკუთრებულ შეთანხმებას (შემდგომში განსაკუთრებული შეთანხმება) KfW-ს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას (წარმოდგენილი ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროთი), თვითმმართველ ქალაქ ბათუმს, როგორც პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს და ქობულეთის მუნიციპალიტეტს შორის,

დებენ წინამდებარე თანხის გადაცემის ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება).

მუხლი 1
ტერმინების განმარტებები

წინამდებარე ხელშეკრულებაში ყველგან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული, ტერმინები, რომელთა განმარტებები მოცემულია სასესხო, დაფინანსების და კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულებებში და, ასევე განსაკუთრებულ შეთანხმებაში, განისაზღვრება ამ ხელშეკრულებებში მათთვის მინიჭებული მნიშვნელობებით.

მუხლი 2
ხელშეკრულების საგანი

სამინისტრო პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს გადასცემს და პროექტის განმახორციელებელი სააგენტო მიიღებს სასესხო, დაფინანსების და კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულებებით საქართველოსათვის გათვალისწინებულ შემდეგ სახსრებს:

- 20,000,000.00 ევრომდე სესხის სახით (შემდგომში სესხი),
- 9,000,000.00 ევრომდე უსასყიდლოდ და
- 6,728,535.85 ევროს და კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად აღნიშნულ თანხაზე გათვალისწინებულ სარგებელს უსასყიდლოდ,

იმ მომსახურების, საქონლის და სამუშაოების დაფინანსების მიზნით, რასაც ითვალისწინებს სასესხო ხელშეკრულება, დაფინანსების ხელშეკრულება, კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულება და განსაკუთრებული შეთანხმება.

მუხლი 3
სესხის დაბრუნების ვადები და მომსახურების პირობები

1. სამინისტრო პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს გადაასესხებს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით განსაზღვრულ სესხს წლიური 4.2 (ოთხი მთელი ორი მეათედი) პროცენტიანი განაკვეთით.
2. პროექტის განმახორციელებელი სააგენტო მოემსახურება სესხს იდენტური ფინანსური პირობებით, როგორც ეს არის გათვალისწინებული სასესხო ხელშეკრულებით, მათ შორის სესხის ძირითადი, საპროცენტო, ვალდებულების, დეფოლტის პროცენტის, პირგასამტეხლოს, თანხის მიუღებლობის შემთხვევაში კომპენსაციის და წინსწრებით დაფარვის კომპენსაციის თანხების გადასახდელებთან მიმართებაში.
3. სამინისტროს მოთხოვნის შემდეგ, პროექტის განმახორციელებელი სააგენტო სამინისტროს გადაუხდის ერთჯერადი თანხის სახით KfW-სათვის სამინისტროს მიერ გადახდილ ადმინისტრირების გადასახადს მე-2 მუხლში განსაზღვრული სესხის ძირითადი თანხის (20,000,000.00 ევრო) 1 %-ის ოდენობით, რომელიც უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.
4. პროექტის განმახორციელებელი სააგენტო საპროცენტო და ვალდებულების გადასახდელს დაფარავს წელიწადში ორჯერ 30 ივნისს და 30 დეკემბერს, ხოლო სესხის ძირითად თანხას შემდეგი გრაფიკის მიხედვით სასესხო ხელშეკრულების 5.2 და 5.3 მუხლების გათვალისწინებით:

სესხის ნაწილი	თარიღი		თანხა	
1	30 დეკემბერი,	2015	869,000.00	ევრო
2	30 ივნისი,	2016	869,000.00	ევრო
3	30 დეკემბერი,	2016	869,000.00	ევრო
4	30 ივნისი,	2017	869,000.00	ევრო
5	30 დეკემბერი,	2017	869,000.00	ევრო
6	30 ივნისი,	2018	869,000.00	ევრო
7	30 დეკემბერი,	2018	869,000.00	ევრო
8	30 ივნისი,	2019	869,000.00	ევრო

9	30 დეკემბერი,	2019	869,000.00	ევრო
10	30 ივნისი,	2020	869,000.00	ევრო
11	30 დეკემბერი,	2020	870,000.00	ევრო
12	30 ივნისი,	2021	870,000.00	ევრო
13	30 დეკემბერი,	2021	870,000.00	ევრო
14	30 ივნისი,	2022	870,000.00	ევრო
15	30 დეკემბერი,	2022	870,000.00	ევრო
16	30 ივნისი,	2023	870,000.00	ევრო
17	30 დეკემბერი,	2023	870,000.00	ევრო
18	30 ივნისი,	2024	870,000.00	ევრო
19	30 დეკემბერი,	2024	870,000.00	ევრო
20	30 ივნისი,	2025	870,000.00	ევრო
21	30 დეკემბერი,	2025	870,000.00	ევრო
22	30 ივნისი,	2026	870,000.00	ევრო
23	30 დეკემბერი,	2026	870,000.00	ევრო

5. პროცენტის დარიცხვა სესხის ათვისებულ თანხაზე განხორციელდება სასესხო ხელშეკრულების 4.4 მუხლის შესაბამისად.
6. პროცენტი, ვალდებულების გადასახდელი, სასესხო ხელშეკრულების 6.5 მუხლით გათვალისწინებული დეფოლტის პროცენტის, სასესხო ხელშეკრულების 6.6 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, სასესხო ხელშეკრულების 2.6 მუხლით თანხის მიუღებლობის შემთხვევაში გათვალისწინებული კომპენსაცია და სასესხო ხელშეკრულების 5.4 მუხლის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინსწრებით დაფარვის კომპენსაცია გამოითვლება 360 დღიანი წელიწადის და 30 დღიანი თვის საფუძველზე. გადასახდელების გაანგარიშება მოხდება ევროში, ხოლო გადახდა განხორციელდება ლარში, გადახდის დღისათვის ლარსა და ევროს შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.
7. პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ გადახდის დღისათვის თანხების არასაკმარისი ოდენობით გადახდისას, ფაქტიურად გადახდილ თანხას სამინისტრო ჩათვლის გადახდილად ქვემოთ მოცემული თანმიმდევრობის დაცვით:

- დარიცხული დეფოლტის, პირგასამტეხლოს, თანხის მიუღებლობის შემთხვევაში გათვალისწინებული კომპენსაციის და წინსწრებით დაფარვის კომპენსაციის დასაფარად;
- დარიცხული ვალდებულების გადასახდელის დასაფარად;
- დარიცხული საპროცენტო თანხების დასაფარად;
- ძირითადი ვალის დასაფარად.

8. სასესხო ხელშეკრულების მე-10 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების დაცვით, სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმებით, პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს შეუძლია გააუქმოს ჩამოურიცხავი სესხის თანხის ჩამორიცხვა სასესხო ხელშეკრულების 2.6 მუხლით თანხის მიუღებლობის შემთხვევაში განსაზღვრული კომპენსაციის თანხის სამინისტროსათვის გადახდით, სამინისტროს მიერ KfW-სათვის გადახდილი თანხის კომპენსირებისათვის.
9. თუ პროექტის განმახორციელებელი სააგენტო, სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმებით, უარს იტყვის სესხის ფარგლებიდან თანხის ჩამორიცხვაზე, ან თუ თანხა არ იქნება ჩამორიცხული სრულად, ან თუ თანხა არ იქნება ჩამორიცხული სასესხო ხელშეკრულების 2.2 მუხლით განსაზღვრული თარიღისთვის პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიზეზით,

რომელიც სამინისტროსთვის და KfW-სთვის მიუღებელია, პროექტის განმახორციელებელი სააგენტო ვალდებულია დროულად აუნაზღაუროს სამინისტროს KfW-ს მიერ სამინისტროსთვის მოთხოვნილი თანხა, რომელიც საჭიროა სახსრების ჩამორიცხვის გაუქმებით გამოწვეული ზარალის ან ხარჯების სამინისტროსათვის კომპენსაციისათვის.

10. სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმებით, პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს შეუძლია ყოველ გადახდის დღეს დაფაროს სესხის მთლიანი მოცულობა ან მისი ნაწილი სესხის დაფარვის საბოლოო ვადაზე ადრე, მაგრამ არაუმცირეს ამ მუხლის მეოთხე პუნქტში მოცემული ერთი გადახდის ოდენობით. თუ პროექტის განმახორციელებელი სააგენტო მოახდენს წინსწრებით დაფარვას, მაშინ ის ვალდებულია სესხის წინსწრებით დაფარვასთან ერთად ასევე სამინისტროს გადაუხადოს სესხის ნებისმიერი წინსწრებით დაფარვის კომპენსაცია რომელიც ტოლია სამინისტროს მიერ KfW-სათვის გადასახდელი კომპენსაციის სასესხო ხელშეკრულების 5.4 მუხლის გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული და წინსწრებით დასაფარ სესხზე წინსწრებით დაფარვის ვადისთვის დარიცხული ყველა პროცენტის. წინსწრებით დაფარვის შემთხვევა ექვემდებარება პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ სამინისტროსათვის წინასწარ შეტყობინებას, არაუგვიანეს 20 საბანკო დღისა (როგორც ეს განსაზღვრულია სასესხო ხელშეკრულების 13.1 მუხლში), განსაზღვრული წინსწრები თარიღის შესაბამისად. ასეთი შეტყობინება შეუქცევადია; მასში მითითებული უნდა იყოს ის თარიღი, როდესაც სესხის წინსწრებით დაფარვაა გათვალისწინებული და მოცულობა, რაც ავალდებულებს პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს სამინისტროს გადაუხადოს მითითებულ თარიღში აღნიშნული მოცულობა.

11. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული გადასახდელები პროექტის განმახორციელებელმა სააგენტომ უნდა ჩარიცხოს სამინისტროს მიერ მითითებულ ანგარიშზე. პროექტის განმახორციელებელი სააგენტო არ არის უფლებამოსილი განახორციელოს თანხიდან დაკავება ან ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დასაფარ თანხებთან მიმართებაში გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამგვარი უფლება არ არის აღიარებული დეკლარაციული გადაწყვეტილებით ან სამინისტროსთან შეთანხმების გზით.

12. პროექტის განმახორციელებელი სააგენტო წინამდებარე ხელშეკრულებით სამინისტროსთვის გათვალისწინებულ თანხებს გადაიხდის ყოველგვარი გადასახადის, სხვა გადასახდელებისა ან სხვა ხარჯების დაქვითვის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ კანონის შესაბამისად ან სხვა მიზეზით, პროექტის განმახორციელებელი სააგენტო ვალდებულია მოახდინოს ამ თანხების დაქვითვა ან დაკავება, პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ სამინისტროსთვის გადახდილი თანხები გაიზრდება იმ ოდენობით, რომელიც საჭირო იქნება იმისათვის, რომ გადასახადებისა და მოსაკრებლების დაქვითვის შემდეგ სამინისტრომ სრულად მიიღოს წინამდებარე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხები.

13. პროექტის განმახორციელებელი სააგენტო თავად გასწევს ყველა სახის ხარჯსა და დანახარჯს, რომლებიც დაკავშირებული იქნება სესხის თანხების ჩამორიცხვასთან და გადარიცხვასთან (მათ შორის კონვერტირების ხარჯი), ასევე სასესხო და წინამდებარე ხელშეკრულებების და მასთან დაკავშირებული ყველა სხვა დოკუმენტის გაფორმებასთან ან განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

14. გადახდა განხორციელებულად ითვლება სამინისტროს მიერ მითითებულ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღიდან. იმ შემთხვევაში, თუ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული თანხების გადახდის რომელიმე დღე არ არის საბანკო დღე, დაფარვა განხორციელდება უშუალოდ მომდევნო საბანკო დღეს.

მუხლი 4
მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. სამინისტრო ვალდებულია უზრუნველყოს პროექტის განმახორციელებელი სააგენტოსათვის სასესხო, დაფინანსების და კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულებებით განსაზღვრული პროექტის განხორციელებისათვის განკუთვნილი თანხების დროული და შეუფერხებელი მიწოდება.
2. სამინისტრო ვალდებულია ყოველწლიურად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტში გაითვალისწინოს პროექტის განხორციელებისას გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის ნახევარი.
3. სამინისტრო ვალდებულია განახორციელოს პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ სესხის მომსახურებასთან დაკავშირებული გადასახდელების სამინისტროსათვის დაფარვის მონიტორინგი.
4. სამინისტრო უფლებამოსილია სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ფულადი სახსრების გამოყოფის მიზნით პროექტის განმახორციელებელი სააგენტოსაგან დამატებით მოითხოვოს ანგარიშები გაწეული ხარჯების შესახებ.
5. სამინისტრო უფლებამოსილია შეაჩეროს სესხის, დაფინანსების და კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულებებით განსაზღვრული თანხის გაცემა მთლიანად ან ნაწილობრივ იმ შემთხვევაში, თუ:
   ა) პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ დარღვეული იქნება სასესხო ხელშეკრულებით, დაფინანსების ხელშეკრულებით, კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულებით, დაფინანსების განხორციელების ხელშეკრულებით, განსაკუთრებული შეთანხმებით ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;
   ბ) პროექტის განმახორციელებელი სააგენტო ვერ შეასრულებს სამინისტროს წინაშე აღებულ ნებისმიერ ვალდებულებას თანხების მითითებულ ვადებში დაფარვის შესახებ;
   გ) პროექტის განმახორციელებელი სააგენტო ვერ შეძლებს იმის დამტკიცებას რომ გამოყოფილი სესხის, დაფინანსების და კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულებებით განსაზღვრული და ამ ხელშეკრულებით გადაცემული თანხები მან მიზნობრივად გამოიყენა;
   დ) KfW შეაჩერებს თანხების გამოყოფას სამინისტროსათვის სასესხო ხელშეკრულების დაფინანსების ხელშეკრულების, კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულების და დაფინანსების განხორციელების ხელშეკრულების შესაბამისად.
6. თუ შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, რომელზეც საუბარია ამ მუხლის მე-5 პუნქტის ქვეპუნქტებში და იგი არ იქნება აღმოფხვრილი განსაზღვრულ ვადაში (დარღვევის მომენტიდან ბ)-ს შემთხვევაში 5 დღეში და დანარჩენ შემთხვევაში 30 დღეში), ამ შემთხვევაში, სამინისტროს შეუძლია გააუქმოს წინამდებარე ხელშეკრულება ან ნებისმიერი მისი ნაწილი, რაც გამოიწვევს:
   ა) წინამდებარე ხელშეკრულებით სამინისტროზე დაკისრებული ვალდებულებების გაუქმებას, და
   ბ) სესხის ან მისი დარჩენილი ნაწილის პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ დაფარვის მოთხოვნას დარიცხულ პროცენტთან და სასესხო ხელშეკრულებით წარმოქმნილ ნებისმიერ და ყველა სხვა გადასახდელთან ერთად სასესხო ხელშეკრულების 11.3 მუხლში მოცემული გამონაკლისის გათვალისწინებით. სასესხო ხელშეკრულების მუხლი 6.5 (დეფოლტი) და მუხლი 6.6 (პირგასამტეხლო) შესაბამისად ვრცელდება აღნიშნულ მოთხოვნილ თანხებზე.
7. სამინისტრო უფლებამოსილია დაამოწმოს სესხის, დაფინანსების და კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულებებით განსაზღვრული თანხების ანგარიშებიდან

თანხების გამოთხოვის შესახებ პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ წერილობით წარმოდგენილ უფლებამოსილ პირთა ფაქსიმილეები.

8. პროექტის განმახორციელებელი სააგენტო ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს პროექტის ეფექტური განხორციელება ყველა იმ პირობათა დაცვით, რაც გათვალისწინებულია სასესხო, დაფინანსების, კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულებებით, განსაკუთრებული შეთანხმებით და წინამდებარე ხელშეკრულებით, ამავდროულად შეასრულოს ყველა ის ვალდებულება (მოთხოვნა), რომელთა შესრულების უზრუნველყოფა პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მეშვეობით სასესხო, დაფინანსების და კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულებებით ევალება საქართველოს;

ბ) უზრუნველყოს ქართული მხარის ადგილობრივი კონტრიბუცია (5,0 მლნ ევროს ოდენობით ლარში) სრულად და დროულად;

გ) სამინისტროს და KfW-ს წინასწარი თანხმობის გარეშე არ დააგირაოს, არ გაასხვისოს, სხვაგვარად არ განკარგოს პროექტის აქტივები სესხის სრულად დაფარვამდე;

დ) იურიდიულ თუ ფიზიკურ პირს არ გადასცეს პროექტის ფარგლებში მიღებული ფულადი სახსრები ან მატერიალური აქტივები რაიმე სახით, თუ ასეთი რამ არ არის განსაზღვრული სასესხო ხელშეკრულებით, და/ან დაფინანსების ხელშეკრულებით და/ან კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულებით და/ან განსაკუთრებული შეთანხმებით;

ე) კანონით დაშვებულ ფარგლებში აიღოს ვალდებულება, რომ სასესხო, დაფინანსების, კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულებებით, განსაკუთრებული შეთანხმებით და წინამდებარე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები მისი ყველა სხვა არსებული და მომავალი, არაუზრუნველყოფილი და არასუბორდინირებული საგადახდო ვალდებულებები თანაბარი იქნება;

ვ) არ დაავალოს ან გადასცეს სხვას, არ დააგირაოს სასესხო ხელშეკრულებით, დაფინანსების ხელშეკრულებით, კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულებით, განსაკუთრებული შეთანხმებით და წინამდებარე ხელშეკრულებით წარმოშობილი მოთხოვნის უფლებები;

ზ) უზრუნველყოს, რომ პირები, რომლებსაც პროექტის მომზადება და განხორციელება, საქონლისა და მომსახურების კონტრაქტების მინიჭება და სესხის, დაფინანსების და კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულებების ფარგლებიდან თანხების მოთხოვნა დაევალებათ, არ მოითხოვენ, არ მიიღებენ, არ გადაიხდიან, არ გასცემენ, არ შეპირდებიან ან არ შესთავაზებენ სხვა პირებს უკანონო ანაზღაურებას ან ისარგებლებენ რაიმე სხვა უპირატესობით ზემოხსენებული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით;

თ) ყოველწლიურად თავის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სესხის მომსახურების, აგრეთვე სხვა შესაძლო გასაწევი ხარჯების და ოფიციალური მოსაკრებლების თანხები. სამინისტროს ყოველწლიურად დაუდასტუროს აღნიშნული;

ი) პროექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, მოამზადოს და სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში გათვალისწინების მიზნით ყოველწლიურად სამინისტროში წარადგინოს განაცხადი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროექტის განხორციელებისათვის მომავალი წლისათვის საჭირო ჩამოსარიცხი თანხის და შესაბამისი თანადაფინანსების თანხის შესახებ ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროს დადგენილი ფორმის შესაბამისად;

კ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით ამ პროექტისათვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში გასწიოს მხოლოდ პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები;

ლ) სასესხო ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების შემთხვევაში სამინისტროს გადაუხადოს კომპენსაცია სასესხო ხელშეკრულების 2.6 მუხლის შესაბამისად და/ან კომპენსაცია სასესხო ხელშეკრულების 5.4 "გ" მუხლის შესაბამისად სამინისტროს მიერ KfW-სათვის გადახდილი თანხის კომპენსირებისათვის;

მ) ანგარიშებზე განთავსებულ თანხებზე პროცენტების დარიცხვის შემთხვევაში (ან რაიმე სარგებელი, თუ ასეთი არსებობს), დარიცხული თანხების განკარგვა მოახდინოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (გარდა კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული სარგებელისა);

ნ) აწარმოოს ჩანაწერები და ანგარიშები, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების შესაბამისად;

ო) სამინისტროში წერილობით დასამოწმებლად წარადგინოს პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს უფლებამოსილ პირთა ხელმოწერების ფაქსიმილეები თანხების გამოთხოვის მიზნით, ხოლო ამ ხელმოწერების შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სამინისტროს;

პ) უზრუნველყოს გაწეული ხარჯების დამამტკიცებელი ყველა ჩანაწერის (კონტრაქტების, შეკვეთების, ანგარიშ-ფაქტურების და სხვა დოკუმენტების) შენახვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ჟ) ყოველთვიურად, წარუდგინოს სამინისტროს ანგარიში სახელმწიფო ბიუჯეტით ამ პროექტისათვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში ათვისებული თანხების შესახებ;

რ) ყოველკვარტალურად, კვარტალის დასრულებიდან 15 დღის ვადაში წარუდგინოს სამინისტროს ანგარიში პროექტის ფარგლებში ათვისებული თანხების და გაწეული ხარჯების შესახებ. სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს სამინისტროში შესაბამისი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია (ასლი). ინფორმაციის ან დოკუმენტაციის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, პროექტის განმახორციელებელი სააგენტო უფლებამოსილია მოითხოვოს ამ პუნქტით განსაზღვრული ვადის 10 დღით გადაწევა;

ს) ყოველწლიურად, წლის დასრულებიდან 45 დღის ვადაში სამინისტროში წარადგინოს ანგარიში წლის განმავლობაში პროექტის ფარგლებში გაწეული ხარჯების და საქმიანობის შესახებ;

ტ) სამინისტროს წარუდგინოს ყოველწლიური სააუდიტორო დასკვნა, დასკვნის მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

მუხლი 5
გადასახდელები, მოსაკრებლები და სხვა ხარჯები

პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული გადასახადები და მოსაკრებლები სესხის, დაფინანსების და კრედიტების საგარანტიო ფონდის ნაშთის თანხიდან არ დაფინანსდება. სამინისტრო ყოველწლიურად თავის თავზე იღებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ხარჯებს დამატებული ღირებულების გადასახადისათვის, რომელიც შეადგენს იმ წლისათვის პროექტის განხორციელებისათვის განსაზღვრული დამატებული ღირებულების გადასახადის საჭირო რაოდენობის ნახევარს, ხოლო პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოშობილი გადასახდელები (მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადისათვის განკუთვნილი დარჩენილი ნაწილი), მოსაკრებლები და სხვა ხარჯები დაიფარება პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მიერ.

მუხლი 6
დავა

მხარეები ეცდებიან თავიდან აიცილონ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყოველგვარი დავა და კონფლიქტი, ხოლო ხელშეკრულების შესრულებისას წარმოშობილი უთანხმოებანი გადაწყვიტონ ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მუხლი 7
დასკვნითი დებულებები

1. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე.
2. მხარეთა თანხმობით, ხელშეკრულებაში ნებისმიერ დროს შეიძლება შეტანილი იქნეს ცვლილებები და/ან დამატებები წერილობით, რომელიც მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად განიხილება.
3. მხარეთა ურთიერთობები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
4. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

ხელმოწერილია 2012 წლის 15 [illegible].

მხარეთა იურიდიული მისამართები:

თანხის გამცემი	თანხის მიმღები:
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	თვითმმართველი ქალაქი ბათუმი
საქართველო, 0114 ქ. თბილისი, ვ. გორგასალის ქ. #16	საქართველო, 6010 ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. #25
ტელ/ფაქსი: (995 32) 2261461	ტელ: (995 422) 272626; ფაქსი: (995 422) 272601

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	თვითმმართველი ქალაქი ბათუმი
---	---
დიმიტრი გვინდაძე	
მინისტრი	